ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2590108

ნომერი: AR1400429

თარიღი : 26.04.2016

გაცემის თარიღი : 19.05.2016

გაცნობის თარიღი : 19.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ევდოშვილი , N 20 / ქალაქი თბილისი , ევდოშვილისა და სოხუმის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 10/021)/ ქალაქი თბილისი , სოხუმის ქ. N7-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ კაპანაძე პ/ნ 01024001843
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 24 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.09.2015 წ. №2215987 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26/04/2016 წ. #

AR1400429 განცხადებით მომართა მალხაზ კაპანაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 30.09.2015 წ. №2215987 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.09.2015 წ. №2215987 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა ევდოშვილი, #20 / ევდოშვილისა და სოხუმის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 10/021)/სოხუმის ქ. #7-ის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.13.06.010.061) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული, საზოგადოებრივი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 30 სექტემბრიდან 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტებით, 30.09.2015 წ. №2215987 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები, კერძოდ, საცხოვრებელ ფართად უნდა დაფიქსირდეს 10 144.2 კვ.მ.; კომერციულ ფართად: 824.4 კვ.მ.; საოფისე ფართად: 490.0 კვ.მ. საზაფხულო ფართად: 1 545.0 კვ.მ.; და საერთო ფართად უნდა დაფიქსირდეს: 16 248.0 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.09.2015 წ. №2215987 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართად დაფიქსირდეს 10 144.2 კვ.მ., კომერციულ ფართად: 824.4 კვ.მ., საოფისე ფართად: 490.0 კვ.მ., საზაფხულო ფართად: 1 545.0 კვ.მ. და საერთო ფართად დაფიქსირდეს: 16 248.0 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.09.2015 წ. №2215987 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N 7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.